ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 183
1877

ივერია

№ 183
1903

აგვისტოს 27, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 27, ოთხშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

25 აგვისტოს ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო იოსების ასული ლომარევისა,

(თავ. რატიშვილის ასული), რასაც **გასიდ იაგორის ძე ლომარევა** შეიღებთიურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა. პანაშვიდები 26 აგვისტოს იქმნება დილის 11 საათზე და საღამოს 6 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ 27 აგვისტოს, დილის 9 საათზე რუქსის სახლიდან, მიხეილის პროსპექტზე № 128, და დაასაფლავებენ კუკიის სასაფლაოზე. (2—192—2)

თავადნი ბეჟან, **დიმიტრი** და გაბრიელ **იოსების ძენი რატიშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მიიცვალა მათი დაუვიწყარი და

ნინო იოსების ასული ლომარევისა,

პანაშვიდები იქმნება 26 აგვისტოს, დილის 11 საათზე და საღამოს 6 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ 27 აგვისტოს, დილის 9 საათზედ და დაასაფლავებენ კუკიის სასაფლაოზე, რუქსის სახლიდან, მიხეილის პროსპექტზე № 128. (2—191—2)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—2)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

კონსტანტინე იოსების ძე

ჯაფარიძე

გადავიდა მექევოი ქუჩაზე ყავრიშვილის სახლში, სასამართლოს უკან.

(3—6—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყავნს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—5)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გრ. ვ. სოკოლოვსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

კავკასიის მთავარ-მართებელი თ-დი გ. ს. გოლიცინი დღეს იღებს მთხოვნელებს თავის სასახლეში.

მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე დ. ვიტტე აღარ ჩამოვა სოჭში, როგორც ამას წინად იუწყებოდნენ რუსული გაზეთები.

გზათა მინისტრი მ. ხილკოვი დღეს, 27 აგვისტოს, სოხუმიდგან რუსეთს დაბრუნდა.

მიწად-მოქმედებისა და მეურნეობის მინისტრი ა. ერმოლოვიც 16 აგვისტოს სოჭში ჩამოსულა. მეორე დღეს მოინდომა გოგირდის წყარო დაეთვალიერებინა. მინისტრს თან ჩამოჰყოლია ფრანგი მეცნიერი, რომელიც ჩასულა იმ გვირაბში, სადაც გოგირდის წყაროა, თუმცა გაუფთხილებიათ, რომ გოგირდის სუნს კაცი ვერ გაუძლებსო. მეცნიერი თან ჩადიოდა თურმე და თან გარედ მდგომთ ხმას აძლევდა, მაგრამ უეცრად გრძნობა დაუკარგავს და დაცემულა. მაშინვე შეშველებიან გარედგან და უგრძნობელი ამოუყვანიათ. მინისტრს ისე სწყენია ეს ამბავი, რომ მაშინადვე წასვლა გადუწყვეტია. მინისტრი რუსეთს დაბრუნებულა.

ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია კავკასიის ჩაის ბაჟი დაადოს. პოპოვის ფირმას, რომელსაც ბათუმს ახლო ჩაის პლანტაცია აქვს, გადაუწყვეტია აღარ გააშენოს ჩაის ბუჩქი.

ქალაქის გამგეობას შესაძლოდ უცვნია სამეფო დღესასწაულობის დროს ელექტრონით გააჩირაღდნოს ქალაქი და არა ჭრაქებითა და მაშხალებით, როგორც აქამომდე იყო. გამგეობას მოლაპარაკება აქვს სხვა-და-სხვა კერძო ფირმებთან, რომლებიც ქალაქში ელექტრონით ინათებენ თავის სადგურებს, რომ ელექტრონის მავთულები გააბან და ჩირაღდანის მოწყობილობა გამართონ. გამგეობა ჰფიქრობს, რომ ამ საქმეს 2,000 მანათზე მეტი არ მოუნდება წელიწადში.

კავკასიის მთავარ-მართებელს ნება დაურთავს ბაქოს ქალაქის სამმართველოსთვის, რომ ერთს დღეს ქალაქის მცხოვრებთა აღწერა მოახდინოს ამ შემოდგომას. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი დათანხმებულა, რომ ამ აღწერაში მონაწილეობა მიიღონ საშუალო სასწავლებელთა უფროს კლასების შეგირდებმა; ხოლო ამისათვის საჭიროა ნებართვა საერო განათლების მინისტრისა.

პიატიგორსკის პირველის გილდის ვაჭარს გ. ალექსანდროვსა და ე. ფონ-დერ-როოპს განუზრახავთ საზოგადოება დააწესონ რკინის გზის შტოების გასაყვანად კავკასიაში. სხვათა შორის, იმათ სურთ გაიყვანონ გზა ქუთაისიდგან ლაშქეთამდე, როკალის გადასავალამდე. ამ გზას, რომელიც ქუთაისიდგან რიონის ხეობაზე წავა, სიგრძე ექმნება 70 ვერსამდე. ბ-ნთ ალექსანდროვსა და როოპს მთავრობისათვის უკვე მიურთმევიათ თხოვნა ნებართვის ასაღებად.

პეტერბურგში დაარსებულა სომხური ჟურნალი „ლიტერატურისა და ხელოვნების უწყება“, რომელიც ორ კვირაში ერთხელ გამოდის.

გუშინ ქალაქის გამგეობაში იყო ვაჭრობა იჯარით გასაცემ ქალაქის მამულისა ახალ-ნაძალადევში. ხალხი ბევრი მოგროვდა—უმეტესად სულ ღარიბი, ნაძალადევში დასახლებული; მაგრამ ბევრს მათგანს ვერ მოესწრო საჭირო მოწმობების აღება, რომ ქალაქის მოხარკე საზოგადოებას ეკუთვნიან, და სხვ. ამის გამო ვაჭრობაში მონაწილეობა შედარებით ძალიან ცოტამ მიიღო. ბევრსა სურდა დასწრებოდა ამ ვაჭრობას, რომ გაეგოთ, ვინ დაეპატრონება იმათგან დასახლებულ ადგილს, და სთხოვეს კიდეც ქალაქის გამგეობას დარბაზის აივანზე აგვიშვითო; მაგრამ მკვახედ გამოეცხადათ, რომ ეს ვაჭრობა საჯარო არ არის და, თუ არ მოვაჭრეს, სხვას ნებას ვერ მივცემთ რომ დაესწროსო. ხალხი მაინც გარედ იდგა და ვაჭრობის შედეგს უცდიდა, მაგრამ იქ დგომის ნებაც არ მისცეს და ძალაუნებურად დაიშალა.

გამგე კომიტეტი გაგრის სამცენარეულოთა გამოფენისა გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ვისაც სურვილი აქვს გამოფენაზე დააწყოს მცენარეულობა: ხის ნერგი, ხილი, ბოსტნეული და სხვა, შეუძლიან გაგზავნოს გამოფენის დაწყების შემდეგაც, ვიდრე ექსპერტიზა გათავდება, რომელიც გამოფენის დასრულების შემდეგ უნდა იყოს.

ბათუმის გაზეთს თუ დავუჯერებთ, მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია შავის ზღვის პირად რკინის გზის გაყვანა. ამასთან ჩრდილოეთი ნაწილი გზისა (არმავირ-თუაფსე) უნდა გაიყვანოს კავკავის გზის საზოგადოებამ, ხოლო სამხრეთი ნაწილი (სოხუმ-ახალსენაკი)—ამიერ-კავკასიის რკინის გზამ.

ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ ქალაქზე 1030 მანეთია დარჩენილი ტფილისის სახალხო ბიბლიოთეკის შესანახად და დააჩქარეთ ამ ფულის ხაზინაში შეტანაო. ქალაქის მოურავმა გუშინ აცნობა გუბერნატორს, რომ ფული კარგა ხანია შეტანილი გვაქვს ხაზინაშიო.

ამას წინად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს, რათა ჰქვიან თქვენს სასწავლებელს „სათავად-აზნაურო“ და არა „კერძო“ სკოლაო, რაზედაც ბ-ნმა მზრუნველმა ჯეროვანი პასუხი მიიღო. ეხლა იგივე მზრუნველი ეკითხება ინსპექტორს, რათა ჰქვიან თქვენს სასწავლებელს „ალექსანდრეს“ სასწავლებელიო. მონახეს ის საბუთიც, რომლითაც იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ შეიწყნარა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობა, რომ სასწავლებელს დაერქვას „ქუთაისის ალექსანდრეს სათავად-აზნაურო სასწავლებელი“. ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი მოუთხოვნიათ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ი. ი. ოცხელს გაუგზავნია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის ცნობები იმის შესახებ, ვინ და როგორ გაათავა წელს აქაური სკოლა. ამბობენ, ტფილისის სასწავლებელში წელს ცხრა თავისუფალი ადგილია მეხუთე კლასშიო, მაგრამ ვის უნდა ეყოს ცხრა ადგილი?!

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის კარებს აუარებელი მთხოვნელი აწყდება, პირველს გარდა, მოსამზადებელს განყოფილებებში თავისუფალი ადგილი არაა და თვალ-ცრემლიანი მშობლები უკანვე ბრუნდებიან. სხვა სასწავლებლებში უარესი ამბავია: ერთს თავისუფალს ადგილზე სამი და ოთხი მთხოვნელია.

ჩვენებური ამბები

ს. შუაფხო. (თიანეთის მაზრა). ს. ბოჭორმაში მცხოვრები ჭრელა ლაგაზიშვილი, 22 წლისა და ს. შუაფხოში მცხოვრები მამუკა ბადრიშვილი, 18 წლისა, ამ თვის შვიდს თავს დაესხნენ ს. შუაფხოში მცხოვრებთ: ბეცუცა ჯიხვიშვილს და ბერიძე შუშანაშვილს. ბერიძეს გაუტეხეს სახლი და გამოიტანეს 80 თუმნის ვექსილები და ათი შაური ფული, ხოლო ბეცუცას წაართვეს 450 მანეთი, სხვა-და-სხვა ნივთები და თავად იგიც დაახრჩეს. თურმე როცა ბოროტ მოქმედნი მივიდნენ ბეცუცას სახლში, სთხოვეს, პური გვაჭამეო. ბეცუცას უარი ეთქვა ამაზედ. იმათ ისევ რამდენჯერმე გაემეორებინათ თავიანთი თხოვნა, მაგრამ ბეცუცას ისევ უარი ეთქვა. მოთმინებიდგან გამოსულებს წაეჭირათ ბეცუცასთვის ყელში ხელი და დაეხრჩოთ.

ბერიძესთან მისულიყვნენ, გაეტეხნათ კიდოტე და ვექსილები გამოეტანათ. შემდეგ ეს ვაჟბატონები ჩამოსულან თიანეთში და აქედგან წასულან ქ. ტფილისში. უყიდნიათ კარგი ტანისამოსი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, საათები და ტფილისიდან ბორჯომს გაუსეირნიათ საქეიფოდ. თურმე ფულის ხარჯვაში შესანიშნავ გულ-უხვობას იჩენდნენ და მედუქნეებს ხურდას აღარც-კიართმევდნენ.

ფშავ-ხევსურეთის ბოქაულმა ი. ოზიაშვილმა რა შეიტყო ეს ამბავი, გამოუდგა ბოროტ-მოქმედთ დასაჭერად და მალეც დაიჭირა ტფილისში, რიყეზედ.

ეს ვაჟბატონები ბორჯომიდგან ჩამოსულიყვნენ და ახლა ბაქოსკენ აპირებდნენ გამგზავრებას. ბოქაულმა დაატუსაღა ბოროტ-მოქმედნი და წარმოადგინა თიანეთის სამაზრო სამმართველოში წართმეულ ნივთებით, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით და 121 მ. და 11 კაპ. დანარჩენი ფული-კი დაეხარჯნათ. ბოროტ-მოქმედნი გამოტყდნენ, დამნაშავენი ვართო და თავიანთ ასეთ თავხედურს საქციელს კიდეც ამართლებდნენ ამ ნაირად: «ჩვენ ბეცუცა დავახრჩეთ, ერთი ადამიანი, მაგრამ ბეცუცა-კი მთელ ფშავის ხევზედ მცხოვრებთ ახრჩობდა თავის უსამართლო ფულის გასესხებით. გარდა იმისა, რომ ბევრი ფული

ჰქონდა, იმ ფულს არც თვითონა ხმარობდა და არც სხვას ახმარებდა. რამდენი ვეხვეწეთ და პურიც არ გვაჭმა. აგრეთვე ბერიძე, არაფერს არ აკეთებს, ასესხებს ფულს და მარტო უსამართლოდ აღებულ ფულის სარგებლითა სცხოვრობს. რაც ბერიძის სახლიდგან ქაღალდები გამოვიტანეთ, სულ ვექსილები აღმოჩნდა. მთაზედ რომ ავედით, დავხიეთ, მივეცით წუმწუმს და დავწვით. ამითი ჩავდექით ბერიძის მოვალეების მადლშიო.

ჭრელა ლაგაზიშვილი, თუმცა ოცდა ორის წლისაა, ამ ცოტა ხნის განმავლობაში ბევრი ამბები ჩაუდენია. ამ სამის წლის წინად ერთ ერწოელ კაცს ცხენი მოსტაცა და თითონაც დასჭრა. შემდეგ ერთი ქალი მოიტაცა და დაიჭირეს. თიანეთის საპყრობილეში ყოფნა არ მოეწონა. იფიქრა, ისევ თავისუფლება სჯობნებიაო, გატეხა საპყრობილე და გაიქცა. რამდენისამე ხნის შემდეგ ეს ვაჟბატონი ჩავიდა ქ. თელავის საპყრობილის უფროსთან და სთხოვა: „მე გამოქცეული ტუსაღი გახლავარ და უმორჩილესად გთხოვთ ციხეში დამიჭიროთო. ციხის უფროსს უარი ეთქვა და თელავის სამაზრო სამმართველოში წარედგინა სტრაჟნიკით და იქიდგან ისევ თიანეთში გამოეგზავნათ. ჭრელა ისევ თელავის საპყრობილეში გაგზავნეს. გზაში დაჰღამებოდათ და ახმეტის სტრაჟნიკების სადგურში დაესვენებინათ პატიმარი. როცა სტრაჟნიკებს დასძინებოდათ, ჭრელას აედო სტრაჟნიკის ჩექმები, ულები დაეჭრა, ძირები ჩაეცვა და წასულიყო შინისაკენ.

ბოჭორმის მამასახლისს ჭრელა რომ შინ ენახნა სოფელში, დაეჭირნა და წამოეყვანა თიანეთის მაზრის სამმართველოში. გზაზედ მამასახლისს ეფიქრნა: «ეხლა ხომ კარგად შებოჭვილი მყავს, ამას ხეზედ მივაბამ და მე ცოტა თვალს მოვატყუებო». ასეც ექმნა, მაგრამ ჭრელას ხელები გაეხსნა, მამასახლისისათვის ცხენი მოეპარნა და წასულიყო.

ჭრელამ ამას გარდა კიდევ ბევრი ოინები ჩაიდინა, რომლის მოგონება და ჩამოთვლა ფრიად საძნელოა.

ჭრელა და მისი ამხანაგი თელავის ციხეში არიან დაპატიმრებულნი. გამოძიება სწარმოებს.

დათიკო გოჯიაშვილი.

ზემო სვანეთი.

სოფლები.—სახლის მორთულობა.—სვანების ტანისამოსი.—მეურნეობა.—აღებ-მიცემობა.—სადადიშქელიანო გლეხების სიღარიბე და ამისი მიზეზები.—ზნე-ჩვეულება.—დღესასწაული «უფლიშერი».—სისხლის აღება.—ქალების მოტაცება.—სკოლები.

ზემო სვანეთი განიყოფება ორს ნაწილად: თავისუფალს სვანეთად და სადადიშქელიანოდ. ეს ქვეყანა თითქმის ყველა მხრით შემოზღუდულია მაღალი, თვალუწდომი, ქედებით, რომლებიც მდიდარია მრავალგვარ ხე-ტყით და ნადირით.

ზემო სვანეთის სოფლები გაშენებულია მდ. ენგურის ნაპირებზე. შორი-ახლოდან ეს სოფლები სასიამოვნო სანახავია. ადამიანს წარმოუდგება თვალთწინ რიგ-რიგად ჩამწკრივებული ქვიტკირის სახლები, რომლებსაც ძალიან ამშვენებენ რამდენისამე საჟენის სიმაღლე კოშკები. მაგრამ როცა მთლად დაუახლოვდები, სულ სხვანაირი სანახავია: უშნოთ აგებული ერთ-სართულიანი ბინძური შენობანი, გამოჭვარტლული სარკმელებითა და პატარა „ტელეფებითა“ („ტელეფას“ სვანეთში აივანს ეძახიან), მხოლოდ ზიზღს იწვევს. კარებში შესვლისათანავე ბოლისაგან თვალები გიცრემლდება და მყრალი სუნისაგან სუნთქვა გიჩერდება. აქა იქ კედლებთან შეამჩნევ ნახევრად დამსხვრეულს ტახტებს მეტად ჭუჭყიან საწოლებით, რომლების ახლოს მოთავსებულან შინაური ცხოველები: ძროხები, ხარები, ცხვრები, თხები, ღორები და ფრინველები. არ დაგრჩებათ შეუმჩნეველი კედლებზე ჩამოკიდული ჯიხვის რქებიც.

სვანების ტანისამოსია მოკლე ჩერქესკა ნაბდის ქუდი, ჭუჭყიანი ახალუხი და პერანგი. თოფ-იარაღის ტარება სვანეთში ძალიან გავრცელებულია. სვანეთი საზოგადოდ ღარიბი ქვეყანაა, მეტადრე სადადიშქელიანო.

მეურნეობაში უფრო თვალსაჩინო ალაგი ქერისა და ფეტვის მოყვანას უჭირავს. ამ ჭირნახულმა აქ კაი მოსავალი იცის.

მევენახეობას აქ სრულიად არ მისდევენ, რადგან ჰავა მეტად მძაფრი და სალტიკია. ვერ ხეირობს აქ თითქმის ვერა ხეხილი. მცხოვრებლების ერთად ერთი სასმელი პურის არაყია, რომელსაც ზემო სვანეთში ბაჟი არ ადევს. ძალიან მისდევენ სვანები პირუტყვის მოშენებას, რადგან საძოვარი ადგილები ბევრი აქვთ.

აღებ-მიცემობას სვანეთში სრულებით არ მისდევენ, რადგან ეს საქმე იმათ სამარცხვინოდ მიაჩნიათ და ეს ასეც რომ არ იყოს, ვაჭრობა-მრეწველობა აქ მაინც ვერ მოიკიდებდა ფეხს, რადგან ცუდის გზებისა გამო ცხრა თვის განმავლობაში ყოველ წლივ მიმოსვლა შეწყვეტილია.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ზემო სვანეთი ულარიბესი და უფრო დაქვეითებული ნაწილია სადადიშქელიანო სვანეთზე. ამის მიზეზია გლეხთა შორის მიწის სივიწროვე. რამდენისამე ხნის წინად მთავრობას დაურიგებია გლეხებისთვის ხუთ-ხუთი ქცევა მიწა, მაგრამ მაშინდელი ერთი კომლი დღეს ექვსად, შვიდად გარდაქცეულა და გაჭირებაც აუტანელი შექმნილა.

ეკონომიურად დამონავებული და დაქვეითებული გლეხ-კაცობა ნამეტანს გონივრულსა და ზნეობრივს სილატაკეში იმყოფება. მათს ცრუმორწმუნოებასა და ფანატიკოსობას სამზღვარი არა აქვს. სვანები ცრუესა და პირობის შემლაში საკმაოდ სახელ განთქმულია.

დაუნდობელ ცხოვრებისაგან დასჯილი სვანი ძალა უნებურად ეტანება ჯანის და გონების მომშხამველს არაყს, რომ ერთხელ მაინც გადაივიწყოს გრძნობა-გონების აღმაშფოთებელი ჭირ-ვარამი.

როგორც კულტურის დაბალს საფეხურზე მდგომს ხალხს, უსაქმობა, ზარმაცობა და დაუზოგველობა სვანებსაც სჩვევიათ. უქმე დღეთა რიცხვი ერთობ ბევრია. შეგხვდებათ ისეთი დღესასწაული, რომელიც თვე ნახევარს გრძელდება. ასეთია, მაგ., „უფლიშერი“. ეს დღესასწაული იმართება სვანეთის გაქრისტიანების სახსოვრად აღდგომის მეორე კვირაში და გრძელდება ორმოცდა ხუთს დღეს. ამ დღესასწაულისათვის თავდარიგს ექვსი-შვიდის თვით წინ შეუდგებიან. დაჰკლავენ ხარებს, ხბოებს, ღორებს და მიზიდავენ ერთ რომელსამე მეზობლისას, სადაც იკრიბება მთელი სოფელი და თვენახევრის განმავლობაში სულ ლოთობას, სიმღერასა და ცეკვა-თამაშს შეექცევიან.

ძალიან გავრცელებულია ზემო-სვანეთში სისხლის აღება. მიმდინარე წლის ივნისის ბოლო რიცხვებში ერთს გლეხს თავისი მეზობელი შემოაკვდა. გარდაცვალებულის დასაფლავებაზე მისმა ნათესავებმა სამჯერ გაისროლეს თოფი. ეს იმის ნიშნად, რომ მკვლელის ნათესაობაში სამაგიეროდ სამი უნდა მოჰკლან.

არა ნაკლებად არის გავრცელებული ქალების მოტაცებაც. თუ გლეხთაგანს ლამაზი ცოლი, ან ქალიშვილი ჰყავს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს იმისი ცოლი ან ქალიშვილი, ადრე თუ გვიან, უეჭველად რომელისამე „მკლავაძის“ საკუთრებად გადაიქცევა.

საჭიროა ცოტა რამ განათლებაზეც ვსთქვათ. დღეს ზემო სვანეთში თერთმეტამდე სკოლა არსებობს. ოთხი სამინისტრო და შვიდიც სამრევლო. თვითოეულს მასწავლებელს ეძლევა არა ნაკლებ ოთხასის მანეთისა. სკოლების შენახვა მცხოვრებთა ვალდებულებას არ შეადგენს, მაგრამ არც ერთს იმათაგანს დიდი დღე არა აქვს. ორს-სამს წელიწადში დასახურავი შეიქნებიან. სამინისტრო სკოლების ამგვარ მდგომარეობის მიზეზი ყველასათვის თვალსაჩინო უნდა იყოს. სვანეთის ხალხი დღეს დიდის პატივით უცქერის სკოლებს. მან კარგათ იცის, რომ თუ სამშობლო ქართული ენა დაივიწყა, მისთვის ღსნა აღარსად არის, რომ აუცილებლად სულიერი და ხორცნელი სიკვდილი მოელის. თუ ორიოდე გროში დასჭირდა ან რისამე ყიდვა, უეჭველად ბარის საქართველოში უნდა ჩამოვიდეს, ვინაიდგან სვანეთში არ არსებობს არავითარი აღებ-მიცემობა და შრომის ბაზარი, და თუ ამ დროს სამშობლო ენაც აღარ იცის, ლატფარის მთის იქეთ ხომ მუნჯად უნდა იქცეს.

გ. შ.

რუსეთი

სალიტერატურო ფონდის თანხა ნელნელა ძლიერდება. პალაშკოვსკის ქვრივმა შესწირა ფონდს მიწა სმოლენსკში. ეს მიწა სამხედრო უწყებას ჰქონდა აღებული იჯარით მიზანში სასროლად და აქედან ერგო ფონდს 24500 მ. ამას გარდა შეუვიდა 7500 მიწის გასყიდვით.

— 1874 წელს, როცა ხერსონის ერობას გადაეცა სკოლები, ამათი რიცხვი იყო 642; სიებით ასე იყო და ნამდვილად-კი 418-ზედ მეტი არა ყოფილა მთელ ხერსონის გუბერნიაში. მაშინ სასკოლო ბავშვთა რიცხვი აღემატებოდა 118,181 სულს. სწავლობდა-კი მხოლოდ 20,995 სული, ესე იგი ასში 82 არა სწავლობდა. 1895 წელს-კი, როცა ერობამ საკმაოდ წინ წასწია სასკოლო საქმე, ასეთი სურათი გადიშალა: სკოლების რიცხვი ავიდა 1190-მდე; სწავლობდნენ ამ სკოლებში 64336 სული. არა სწავლობდნენ 119,147 სული, ანუ ასზე 64; დღეს-კი ხერსონის გუბერნიაში სწავლობს 104,572 ბავშვი, არა სწავლობს ასში მხოლოდ 54.

— ხარკოვში რკინის გზის სახელოსნოებთან არსდება, გზათა მინისტრის განკარგულებით, კურსები ჩილნგდარ—ზეინკალთა შეგირდებისათვის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში არის საერობო განყოფილება. ამ განყოფილებისათვის სამი ახალი სამოხელეო თანამდებობა დააარსეს განსაკუთრებულ მინდობილებათათვის სასოფლო საქმეების საკეთებლად. თითო მოხელეს ექმნება 4000 მან. ჯამაგირი.

— გზათა სამინისტრომ შეიმუშავა წესები იმისი, თუ როგორ უნდა იარონ მატარებლებმა, როცა თავსხმაა და კოკისპირულად სწვიმს.

— პეტერბურგის ზოგიერთ საშუალო სასწავლებლებში სწავლა დაიწყო 21 აგვისტოს, ხოლო ზოგიერთში—23.

— პეტერბურგის თვით-მმართველობამ 7 ახალი 4 კლასიანი სასწავლებელი დააარსა: 4 ვაჟთათვის და 3—ქალთათვის. თან ახალი საგნებიც ჩაურთო პროგრამაში: ბუხგალტერია, ანგარიშის წარმოება, ხაზვა-ხატვა და უცხო ენები.

— როსტოვსკის ქვრივს დაენიშნა პენსია 3,500 მან. წელიწადში, ხოლო მის ქალ-ვაჟს თითოს 1,200 მან.; ვაჟს სრულ-წლოვანებამდე, ხოლო ქალს—გათხოვებამდე.

— კარრას, რომელმაც მოჰკლა თავისი დედა და ორი და, ერთი 18 წლისა და მეორე 6 წლისა, მოსკოვის ოლქის სასამართლომ ნაფიც მსაჯულებითურთ გადაუწყვიტა 12 წლის კატორგა

— ალექსანდრეს III-ის ელექტრო-სატეხნიკო ინსტიტუტში გაუქმდა საკონკურსო ეგზამენები და მსურველთ სიმწიფის ატესტატების მიხედვით იღებენ. თავისუფალი ადგილი 100, ხოლო თხოვნა მიუციათ 700. თხოვნები მიუციათ უფრო კლასიკურ გიმნაზია-დამთავრებულთ.

— პეტერბურგის ერობამ დააწესა თანამდებობა საგუბერნიო აგრონომისა. საგუბერნიო აგრონომი უნდა დაეხმაროს სამაზრო აგრონომებს და იმათთან ერთად ჰმართოს ლექციების კითხვა და საუბარი მეურნეობის შესახებ, უშოვოს ხალხს კარგი თესლი ჭირნახულისა, გამოუწეროს კარგის ჯიშის საქონელი და სხვ.

უცხოეთი

ინგლისი. უმთავრესი საკითხი, რომლის შესახებაც დიდი სჯა-ბაასია ამ ჟამად უცხოეთის გაზეთებში, ისაა, თუ რა გზას ადგია საბერძნეთი ბალკანეთის საქმეთა შესახებ,—როგორ შეჰყურებს სლავიან მეამბოხეთა მოძრაობას და რა ურთიერთობა აქვს ოსმალეთთან. დეპეშებმა უკვე გვაუწყა, რომ საბერძნეთს განზრახვა აქვს დაუკავშირდეს ოსმალეთს, თუ ბალკანეთის სლავიანებმა შეერთებულის ძალით მოინდომეს ოსმალეთის წინააღმდეგ ამხედრება. მოყვანილი იყო აგრეთვე პირობები: ოსმალეთმა უნდა იკისროს მთავარ სარდლობა ბერძენ-ოსმალთა შეერთებულ მხედრობისა, საბერძნეთმა-კი—ფლოტისა. გაზ. „დაილი ნიუს“-ი ასე ახასიათებს საბერძნეთის მოქმედებას:

„საბერძნეთის მეგობარნი შეშფოთებულნი არიან იმ ამბით, რომ ბაირონის მიერ ნაქებ-ნადიდები საბერძნეთი სრულიად უგულვებელ ჰყოფს ბალკანეთის ერთა უკიდურესს გასაჭირსა და ოსმალეთს უწვდის ხელს, მასთან აპირობს შეკავშირებას ტანჯულ ხალხთა საწინაალმდეგოთ. საბერძნეთი რომ მართლა აპირობს ოსმალეთთან შეერთებას, ეს დღეს ყველასათვის ცხადია ამ რამდენისამე კვირის წინად საბერძნეთის სამეფო საგვარეულოს ერთმა წევრთაგანმა ინახულა ხონთქარი, რომელმაც არა-ჩვეულებრივ პატივით მიიღო იგი. მოსალოდნელია, რომ თვით მეფეც რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მარიენბადში სცხოვრობდა, ეახლება ხონთქარს ილდიზ-კიოსკს. აქამდე საბერძნეთი ღირსეულად იცავდა მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ჩვეულებას და ბალკანეთის ყველა ქრისტიანენიც რაინდულად უჭერდნენ მხარსა. თუ ეხლა საბერძნეთი ჰღალატობს მამა-პაპათა ანდერძს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ განახორციელოს თავისი საოცნებო მისწრაფებანი და ამასთანავე შური იძიოს ზოგიერთ ქრისტიან ტომთა“. გაზეთის აზრით, საბერძნეთს დიდი იმედი აქვს კრიტის შემოერთებისა და, საზოგადოდ, თავის სამფლობელოს გაფართოვებისა. ოსმალეთთან შეკავშირება მით უფრო ხელსაყრელია საბერძნეთისათვის, რომ ძლიერი გერმანიაც მოწყალების თვალით დაუწყებს ცქერას. საბერძნეთი არ ჰკარგავს იმედს, რომ მაკედონიაც ხელთ იგდოს, თუმცა არც უმრავლესობას შეადგენენ ბერძნები მაკედონიაში და მკვიდრთაც უფრო სოფიისაკენ აქვთ გული, ვიდრე ათინისაკენ. ინგლისის გაზეთობას არა ბუნებრივად მიაჩნია საბერძნეთ-ოსმალეთის კავშირი, რომელიც სასიკეთოს არას უქადის საბერძნეთს; აღნიშნავს ოსმალ ჯარის კაცთაგან მონაქმედ შემაძრწუნებელ საქმეებს და მოუწოდებს ევროპას,—აიმაღლეთ ხმა სამართლიანობის აღსადგენადაო.

რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ, თუ როგორ შესცქერიან ბერძნები და მათი მთავრობა მაკედონიის მღელვარებას, საჭიროა მოვიყვანოთ ათინაში მომხდარ მიტინგის რეზოლუცია:

„ათინასა და პირეაში მცხოვრებნი მაკედონელნი ირწმუნებიან,—ბულგარები სცდილობენ მაკედონიის ხელში ჩაგდებას, იმ მაკედონიის, რომელიც დასაბამიდანვე ბერძნებისა იყო და არის. ამ აზრით ბულგარები ამახინჯებენ ისტორიას, გეოგრაფიას და ეთნოგრაფიას. მაგრამ, რადგან ეს ღონისძიებანიც არ გამოდგა საკმარისი, ეხლა მახვილსა და ნაღმსაც-კი მიჰმართეს. ამიტომ მაკედონიის სხვა-დასხვა ოლქის მკვიდრნი ბერძენნი შემდეგს არდაწყვეტილებას დაადგნენ: წინააღმდეგობას აცხადებენ ბულგარელ მეამბოხეთა მიმართ, რომელნიც ბულგარიიდან მოვიდნენ და არა მაკედონიის მკვიდრთაგან შესდგებიან. მათ სწადიანთ მაკედონელ ბერძენთა განადგურება და აღმოფხვრა. წინააღმდეგობას აცხადებენ, რომ სლავიანთა მომხრენი განზრახ დამახინჯებულ სტატისტიკურ ცნობებს აწვდიან ევროპიელთ და ამ გვარად სცდილობენ თვალი აუხვიონ ევროპას. წინააღმდეგობას აცხადებენ იმის გამო, რომ ბულგარები ცეცხლითა და მახვილით სდევნიან მაკედონიის მკვიდრ ბერძენთ. მაკედონელნი ბერძენნი აქამდე მშვიდობიანად იყვნენ, რადგან სწამდათ, რომ

ფელეტონი

ვოინაროვსკი

პოემა

გ. თ. რილეევისა

(დასასრული *)

„მე არ მიყვარან ცივ-გულა კაცნი—
ისინი ქვეყნის არიან მტრები,
მტრები არიან წარსულ დიდების,
მათ არ აწუხებსთ ხალხის ტანჯვები;
გრძნობა მაღალი არ აბადიათ,
არ გააჩნიათ სულისა ძალი,
არ უღვივისთ მათ ცეცხლი გულისა,
შობით არიან ქვეწარმავალი...
მათებრი არ ხარ შენ,—კარგად გატყობ,
მაგრამ, შენზედა უფრო მამული
მიყვარს-თქვა, რომ ეს გითხრა,—ვიმედობ—
მითი არ იქმნე შენ გალანძღული.
როგორც შეგფერის ყრმა გმირს,—შენ სწირავ
მამულს ყველაფერს... იტოვებ სახელს...
ხოლო მე, შურით აღტყინებულსა,
სამშობლოს ბორკილთ დაღეწვის მზრახველს—
მინდა შევსწირო მას ყველაფერი,
და ყველაფერთან ვსწირავ თვით სახელს!!
აწ კი დრო არის თვით საიდუმლო,
რომ გაგიმჟღავნო გულის მწოველი:
უწყოდე, რომ მე პეტრე დიდისა
ვიცი ფასი და არ ვარ მგმობელი,
მაგრამ, ვმორჩილებ ბედის წერას და—
მტერი ვარ მისი დაუცხრომელი!
რაც განვიზრახე სახიფათოა
და კადნიერი,—ლელოს გატანას
სათუოთა ვსთვლი; სახელს მოვიხვეჭ,
ან შევსძაგდები მშობელ ქვეყანას!
რაცა მოგვივა—მოვიდეს! წერამ
დეე წაჰკიდოს შავ-ბედი მამულს—
დრო მოახლოვდა: უნდა ებრძოლოს
თავისუფლება მტრის ძალსა წყეულს“!..
ეს საუბარი იყო სათავე
ჩემთა შემდეგთა უბედურებათ...
იმ დღიდგანა ვგმობ ჩემს ბედსა წყეულს,
იმ დღიდან ჩემო, მამულო წმინდა,
მხოლოდ შენა ჰფლობ სავსებით ჩემ გულს
და მხოლოდ შენი დიდება მინდა!
ბრმად მივენდევი მაზეპას, მამულს
და ქველთა საქმეთ მივკერძე ცხარედ,
და დავიფიცე—„დიდსა პეტრესა
კუბოს კარამდე ვმტრობდე მძვინვარედ!“

* * *

გათენდა. ყომრალს ცაზედა ცეცხლის
მზე, ბურთივითა, მძლედ მისცურავდა...
მუხნარის ტევრში ზამთრისა სუსხი
ყინვის ნეშტრებით კაცთა ჰკაწრავდა;
მაგრამ თვით ქოხში, სად საუბრობდნენ,
სინათლეს დღისას ვერ შეეტანა:
ხეების შტოთა ზე-ანასხლეტი
ობოლი სხივი ძლივს ფანჯრებთანა
აშუქებდა, და ჩვენს ახალ ნაცნობთ
ვხედავთ—მსხდომარეთ კერიასთანა...
ფიჭვისა შეშა სულ დამწვარიყო
მხოლოდ ნაკვერცხალთ ჰქონდა ღადღადი...
სტუმარ-მგზავრს, სმენად გადაქცეულსა,
ვერ შეენიშნა თვით განთიადი.
ტანჯულის ამბავთ სმენა გულს ღრღნიდა,
თან ედებოდა რისხვა და ბრაზი,
ან და თვალთაგან სდიოდა ცრემლი,
სიბრალულისა ცრემლი, ლამაზი!
გენახულებათ მდინარე ლენა,
როცა ფრიალო კიდეთა შორის
გაზაფხულის ჟამს ლანქერისაგან
ადიდებული, გიჟმაჟად მოჰქრის,
ზვირთებს ზვირთთა სცემს, რაც წინ უხვდება
ტრამლადა ლეწავს ტალღათა შორის!
ყინულის მთებსა ამსხვრევს და მიაქვს,
ბღავის ხმით ხაფეთ დაჭრილის ლომის,
სად მორევი აქვს, იქ შხეფთა ზვინს სდგამს,
ჰქაფდება, კონცხებს აგლეჯს ნაპირებს
და ზათქით მიაქვს. სად? არვინ იცის,
გარიყავს სადმე, თუ რას უპირებს?..
სწორედ ჩვენც ასე დავლეწეთ ჯაჭვი
ჩვენის საერო სიმართლეების...
მთლად გადავლახეთ, რაც გვაბრკოლებდა,
და, დასაცველად კაცთა ღირსების,
ყველა ავმხედრდით, როს მოწოდება
გვესმა სარდალთ და თავისუფლების!
მგრგვინავს სახელსა გამოვეკიდე,
ხელ-აღებული მთლად სიცოცხლეზე,
სამშობლოს მიწას ვრწყავდი სისხლითა,
ხრმალსა ვჩლუნგავდი რუსების ძვლებზე!
მკვდრებით აივსო მინდორი, ხევი,
მგლები ზუოდნენ იმათ ლეშებზე;
სიდამპლის სუნით არე ამყრალდა,
თითქო ქვეყანა იდგა მძორებზე!..
მაგრამ ამაოდ ჩვენ ჩაგვიარა
ყოველმა ცდამ და მოსაზრებამა:
პეტრეს საზრისმა დაგვძლია, ომის
რა მოაწია შავ-ბედით წამმა,
პოლტავის მეხი გავარდა ტეხით,—
ველარ გაუძლო დიდ-პეტრეს კარლმა,
და ჩვენ დავღუპეთ ჩვენი მამული,
კვლავ კლანჭი მოგვდვა მონობის სვავმა!
მძვინვარე კარლი, მისს სიცოცხლეში
პირველად პეტრეს მიერ ძლეული,
გაიქცა. მეფეს მიჰყვა მაზეპა
და მაზეპას—მე, გამწარებული.
ხუთი დღე-ღამე ცხენთ ვაჭენებდით
დაუსვენებლად, გზა არეულნი...
მტრისა მდევარსა ვუშინდებოდით,
ცხენებსაც ღონე უსუსტდებოდათ—
ღამე სიცივით, დღისით-კი სიცხით
საცოდავთ სული ეხუთებოდათ.
და ჩვენც, დაღლილებს, ძლივს უნაგირს მჯდომთ,
წელ-ზურგის ძალა გვისუსტებოდა...
ერთხელ შვაღამეს, ტყისა პირასა,
დავისვენეთ და მოვითქვით სული.
ირგვლივ ზურმუხტის ფერი უდაბნო,
ზევით მთოვარე ბაკე-დასმული;
სამარისებურ დუმილს არღვევდა
მხოლოდ მდინარე გადარეული.
ტლანქს ქეჩაზედა კარლოსი მიწვა,
უნაგირ თავ-ქვე ამოდებული,
და დამაშვრალმა ძილს მისცა თავი
მუხის ქვეშ, ხელნი ეპყრა მხნე გულზე;
გარს ეჯრებოდნენ მწყობრნი მხედართა...
შორს, სადღაც ცეცხლით გარუჯულ კუნძზე,
ფიჭვის შეშითა დანთებულს ცეცხლთან,

---

*) იხ. „ივერია“ № 182.

ევროპა მათ განადგურების ნებას არავის მისცემდა. იგინი აცხადებენ,—თუ კიდევ გაგრძელდა მაკედონელ ბერძენთა დევნა, იძულებულნი გახდებიან იარაღი აისხან და გაუმკლავდნენ ბულგარ მეამბოხეთ, რომელნიც დაუნდობლად ჰჟლეტენ მშვიდობიან მცხოვრებთ. ამიტომ ევედრებიან ევროპის დიდ სახელმწიფოებს, დაგვიფარეთ ბულგართა ძალმომრეობისაგან და ნუ აგვაღებინებთ ხელში იარაღს ქრისტიანეთა წინააღმდეგაო". პირი ამ გარდაწყვეტილებისა გაეგზავნა მთავრობას და ათინაში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. რუსეთის ელჩმა არ მიიღო ეს რეზოლიუცია. თითქმის მთელმა ევროპამ გაჰკიცხა ამგვარი საქციელი ბერძენთა. აი, რას ამბობს, სხვათა შორის, ყოვლად მართალი და პირუთვნელი კაცი, ანატოლ ლერუა-ბოლიე ჟურნალ „ევროპ."-ში:

„იმ ბერძენთ, რომელნიც მთელის გასულ საუკუნის განმავლობაში მარტოოდენ აღმოსავლეთის ქრისტეან ერთა მისწრაფებას იცავდნენ, რომელნიც შეჰხაროდნენ მათ განთავისუფლებას ოსმალთა აუტანელ მონობისაგან, იმ ბერძენთ, რომელთა გმირნი უკვდავნი გახდნენ ბაირონისა დი ჰიუგოს თხზულებებში, როგორც თავისუფლებისათვის თავდადებულნი, იმ ბერძენთ აუქცევიათ მხარი მამაპაპათა ანდერძისათვის, უარ უყვიათ კაცთმოყვარეობა, ძველებური ნდობა და ესოდენ სამარცხვინო და სათაკილო გარდაწყვეტილება მიუღიათ!.. ბერძნებმა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ქრისტეანებს-კი არ დაუჭირეს მხარი, არამედ მათ მჩაგვრელთ. იგინი ამბობენ, ნამდვილნი მტარვალნი ოსმალნი-კი არა, მაკედონელი ბულგარნი არიანო ავიწყდებათ, რომ საბერძნეთის მტრებიც ამასვე ამბობდნენ, როცა კრიტის გამო ასტყდა ბრძოლა ბერძენ-ოსმალთა შორის და ქრისტეანები და მუსულმანები ერთმანეთს ჟლეტდნენ... იგინი მხოლოდ ერთზედ ჰფიქრობენ—ელლინთა გაერთიანებაზედ. ამიტომ უნდათ, რომ ოსმალნი ჰბატონობდნენ მაკედონიაში, თუნდა ამისათვის ყველა დანარჩენთ ქრისტეანეთ გაჟლეტა იქმნა საჭირო".

ნარკვევი

მანჯურიაში თავისებური წესებია, რომელმაც სახელი გაითქვა, მაგრამ ურიგო წესებს ხალხი არ ჰფარავს, აშკარად ჰკიცხავს და იქაური ცენზურაც ამას ხელს უმართავს. გაზეთს „დალნი ვოსტოკში" (შორეული აღმოსავლეთი) დაბეჭდილია ერთი ახირებული ამბავი მანჯურელთა ცხოვრებიდან:

«ხანტაგეზას სადგურიდამ მატარებელში ჩაჯდა ორი მოლოზანი. იმათთან მივიდა კონდუქტორი და ბილეთები მოსთხოვა. მოლოზნებს ბილეთები არა ჰქონდათ.—რა უბედურებაა, რა უწესოებაა! სასტიკად შენიშნა კონდუქტორმა, დამიხედეთ, მოლოზნები არიან და ქურდულად კი მიიპარებიან. ამოუაჭრეთ სამი მანეთი.

მოლოზნები შეემუდარნენ:—მშობელო მამავ, შეგვიწყალე! რუსი ხარ და ურიულს სარგებელს კი თხოულობ. ვის გაუგონია ერთის სადგურის გავლისათვის სამი მანეთი!

— არა, ჩემო დედო, ურიული კი არა მანჯურული ნიხრი ურიულზე უარესია. რას იზამ, ამისთანა წესია! გახსენ ყულაბა!

— რათაო, ბატონო კონდუქტორო!—ჩაერია ლაპარაკში ერთი პასაჟირთაგანი; მეორე ვაგონში რომ ჩინელები სხედან თითოს მანეთ-ნახევარი გადაახდევინეთ, ათ-ათი შაური კიდევ ძმებზე, ერთი სადგურისა კი არა, არამედ ორისა?

— ეს ჩემი საქმეა, ხოლო შენ გთხოვ ნუ ერევი იქ, სადაც შენი საქმე არ არის, წყრომით უთხრა კონდუქტორმა.

პასაჟირი მაინც არ დაწყნარდა; მაგრამ ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ, პასაჟირი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადნა ბ-ნთ მანჯურელთა წინაშე, რიცხვთა შორის სადგურის უფროსის წინაშეც; ამას გარდა ჩამოუსხა ერთი დუჟინი ბოთლი ლუდი, რამდენიმე ბოთლი ღვინო, ერთის სიტყვით სრულებით თითო მოიკაკვა მანჯურელთა წინაშე.

წესებიც ამისთანა უნდა, აი!!.

—

ხარბინში მომხდარ კრების გამო „ს.-პეტ. ვედ."-ბმა გამოსთქვა ის აზრი, რომ შორეულს აღმოსავლეთში საჭიროა შეუშვათ უცხოელი მრეწველნი, იაპონელი და ჩინელი მუშებიო. ეს საჭიროა იმიტომ,

«რომ გვქონდაეს იქ ჩვენ არა გავერანებული, არამედ კულტურული ადგილები, არ უნდა გვეშინოდეს ჩვენ ყვითელის ტომისა (რასისა), რომელიც იძლევა იაფს და შრომის მოყვარე მუშასა. უნდა ეს შიში თავიდან მოვიშოროთ, განვიკურნოთ თავი ამ შიშისაგან. ისინი სახლში ვიწროდ არიან, მაგალითად იაპონიაში, კორეაში, ისინი მკვიდრად დასახლდებიან სტუმართმოყვარე მხარეში, დაიმუშავებენ მის ჯერ ხელ უხლებელს სიმდიდრეს, თითონაც გამდიდრდებიან და მხარესაც აადორძინებენ".

ამ მსჯელობას „ს.-პეტ. ვედ."-სას ერთობ გაუწიწმატებია სუვორინის გაზეთი „ნოვოე ვრემია".

„საკვირველი მსჯელობააო,—ამბობს გაზეთი; გაზეთი რუსეთის დტოლვილებას უკავშირებს რუსეთის ხალხის ინტერესებს კი არა, არამედ იმასა, რომ უსათუოდ უნდა დამუშავდეს რუსეთის სიმდიდრენიო. ქვეყნის სიმდიდრე არ დაიკარგება თავისთავად, თუნდაც რომ შევაყენოთ მათი დამუშავება, მაგრამ რომ ხელთ ჩაუგდოთ ეს სიმდიდრენი უცხოელთა და მათ დასამუშავებლად შემოუშვათ იაპონელები და კორიელები, ეს რა გამდიდრება იქნება ქვეყნისა? ამგვარს პოლიტიკას თუ მისდია რუსმა, მალე ხელ-გაშვერილი დაიწყებს ტანტალს პირსა ზედა ქვეყნისასაო".

ნარევი და ნაკვესი

ინგლისის მეფე ედუარდი კმაყოფილი დაბრუნდა მარიენბადიდან. წყლებმა კარგად იმოქმედა ჩემზედ, საკმაოდ ბლომად დამაკლდა წონაშიო. მაგრამ უფრო კმაყოფილი ვიქმნებოდი, რომ გადამეტებული ცნობის მოყვარეობა არ გამოეჩინათ იქაურებს: სულ ზედ მელალებოდნენ, შიგ პირსა და თვალებში შემამცქეროდნენ, ნაბიჯს არ მადგმევინებდნენ; თავისუფლად აღარ ამომასუნთქებინეს. წყლებზედ როცა არის კაცი, იმისთვის უსათუოდ მოსვენებაა საჭირო. მცირეოდენი მღელვარება, გაჯავრება სწყენს და მკურნალობას ჯეროვანი ნაყოფი ვერ გამოუღია. მე მესმის მიზეზი მარიენბადელთა ცნობის-მოყვარეობისა. მეც კაცი ვარ და მიყვარს ცქერა შესანიშნავთა კაცთა, მაგრამ ზომას არ უნდა გადავიდეს ადამიანი და ზრდილობას არ უნდა ივიწყებდეს. ჩვენ, მეფენი უფრო ბევრს ვითმენთ, ვიდრე ჩვეულებრივნი სიკვდილის შვილნი. რაც ჩვენ უნდა მოვითმინოთ, იმას ძნელად მოითმენენ ისინი.

—

ახალის პაპის პიო X-ს გულ-კეთილობას ცხადად ამტკიცებს შემდეგი გარემოება. კასტელოში ერთი საწყალი მღვდელი ყოფილა, რომელიც თვის მცირე ჯამაგირს თითქმის სანახევროდ ღარიბებს ურიგებდა. პაპი პიო X-ც სწორედ ამისთანებს ეძებს და მფარველობს. დაიბარა თურმე ეს მღვდელი და დაუწყო საუბარი. უცებ უთხრა:

— იცი, რომ მე შენ ხვალ ეპისკოპოსად უნდა გაკურთხო და ვენეტიკში დაგნიშნო, საცა მე ვიყავი?

მღვდელი ზეზე წამოხტა, ისე გაოცა ამ ამბავმა.

— რას ბრძანებთ, თქვენო უწმინდესობავ, მე ანაფორის მეტი თან არა მაქვს-რა... მე... ღირსი არა ვარ...

— დამშვიდდი, დამშვიდდი. ნუ ჰღელავ.—ყველაფერს გიშოვი, რაც საჭიროა.

პაპმა დაუწკარუნა ზარი მორჩილსა და უბრძანა:

— შეუკვეთე ამ მამა მღვდლისათვის მთელი სამღვდელ-მთაერო შესამოსელი. ანგარიში შეადგინე ხარჯისა, რაც საჭიროა კურთხევისათვის. მე გადავიხდი ყოველსავე.

მღვდელს ენა ჩაუვარდა სიხარულით და ძლივს ლუღლუღით გადაუხადა მადლობა კეთილ პაპს

—

ახირებული საქმე დაემართა თურმე ამას წინად პორტუგალიის მინისტრ პერეირა—დას საპროსა. ძველის წიგნების მოყვარულია თურმე და ხშირად დაიარება საჯარო ბიბლიოთეკაში ძველის წიგნების საკითხავად. ერთხელ ისე გაერთო მათს კითხვაში, სადღაც კუნჭულში მიმჯდარი, რომ ვერც იმან გაიგო ზარის რეკა, რომელიც ჰნიშნავდა ბიბლიოთეკის დაკეტვის დროსა და ვერც გამგეთ შეამჩნიეს სადღაც ჩაჩქმალული მინისტრი. იფიქრეს, უთუოდ შეუმჩნევლად წავიდა და დაჰკეტეს წიგნთ-საკითხვი. პატარა ხანს უკან მინისტრი მიხვდა, რომ ჩაკეტილი ბრძანდება ამ უზარმაზარ უკაცურ შენობაში მისი მაღალ-აღმატებულება. რა ჰქმნას ახლა? ავიდა ზემო სართულში, გააღო ფანჯარა და უძახის ხალხს, მიშველეთ, კარი გამიღეთო. პოლიციას ქურდი ეგონა და მაღალი კიბეები მოიტანეს. ფანჯრიდან ავალთ და ისე შევიპყრობთო. ბევრი იჯავრა პერეირამ, მინისტრი ვარო, მაგრამ ვინ დაუჯერა. წაიყვანეს პოლიციაში. იქ ძლივს დააჯერა მოხელენი, რომ მინისტრი ვარ და ასე და ასე მომივიდაო.

თეატრი და ხელოვნება

სოფ. სხვავა (რაჭის მაზრა). როგორც იქმნა სხვაველმა სცენის მოყვარულებმა იშოვნეს წარმოდგენისთვის ბინა სხვავის მამასახლის ბ-ნ თ. ღონღაძის შემწეობით. ამ კაცმა დააკმაყოფილა ყოველნაირი „პრეტენზიები" სკოლის მზრუნველის, ნიკო პეტრიაშვილისა, მისცა ხელწერილი და სიტყვიერი პირობაც, რომ თუ რამე დაიმტვრევოდა სკოლაში წარმოდგენის გამართვის გამო, ან თუ სხვა რაიმე ბრალი დაედებოდა ნიკო პეტრიაშვილს სოფლის, ან მთავრობის მხრივ, ყველაფერში პასუხის-მგებელი ის იქნებოდა. ამავე სოფლის მწერალმა ვ. გოცირიძემ გამართა სცენა.

საზოგადოებაში გამოჩნდნენ რამდენიმე, რომელთაც მოინდომეს, წარმოდგენის ჩაშლა. ჯერ ავრცელებდნენ სოფელში ხმას, წარმოდგენები მასხარაობაა, გარყვნილებაა, ხალხის გატყავება სურთო, მაგრამ ხალხმა იცოდა, წარმოდგენის შემოსავალი წინა წლისამებრ რა კეთილ საქმისთვისაც იყო დანიშნული დაყური არ ათხოვა. შემდეგ მიჰყვეს ხელი ჰორებს, სცდილობდნენ სცენის მოყვარულები ერთმანეთისთვის დაეშორებინათ. მაგრამ ამაოდ. წარმოდგენას დაესწრო ამბროლაურის ნაწილის ბოქაული, რომელსაც ახლდა თან საერობო დარაჯი. ამათი ხათრით ხსენებულმა ვაჟბატონებმა ველარა გაჰბედეს რა. როგორც გავიგეთ ამ ვაჟბატონებს, პოლიციისა ძალიან ხათრი აქვთ თურმე, შიში-კი არავისი არ ეშინიათ.

აი, ამნაირი დავიდარაბით, როგორც იქმნა, 10 მარიამობისთვეს წარმოადგინეს „ციმბირელი" 4 მოქ. კომ. ა. ცაგარლისა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგნი იყვნენ დები ლანდიები, რომლებიც თითქო ერთმანეთს, ეჯიბრებოდნენ, რომელი უკეთ ვითამაშებთო. დანარჩენებიც თავ-თავის ადგილას იყვნენ, არც ერთს თავისი როლი არ გაუფუჭებია. ხალხი ბლომად დაესწრო. მხოლოდ გამგეების დაუდევრობის გამო უმეტესი ნაწილი უბილეთოთ იყო. როცა შემოსავალი კეთილ საქმისთვის არის გადადებული, არ იქნებოდა ურიგო, რომ ყველას თავისი წვლილი შეეტანა. თუ სცენის მოყვარულებმა მეცადინეობა და დრო არ დაიშურეს, არც მაყურებლებს უნდა დაეშურებინათ 20 კაპ. ან 30 კ. თუ იმას მოიმიზეზებენ, რომ კასირი ვერა ვნახეთო, ბილეთი გვეყიდნაო, ეხლა ხომ იციან ვის ხელშიც არის ფული, ეხლა გადასცენ.—წარმოდგენის შემდეგ წაიკითხეს რამდენიმე ლექსი. ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში.

პ. დ.

სასამართლოს მატიანე

ტფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლემ დანილოვმა 25 აგვისტოს გაარჩია საქმე გლეხებისა—კუნწულა გაბატაშვილისა და მურაზ ლეკიშვილისა (16 წლის ბიჭია), რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ კახეთის გზაზე ეტლებს დასდევდნენ, ნივთებს აჭრიდნენ და იპარავდნენ, რასაც კი მოახერხებდნენ. კარგა ხანს ქურდების კვალს ვერ მიაგნეს. მერე კი მაზრის უფროსის თანაშემწემ ე. გუგუშვილმა ეჭვი მიიტანა ამ ორს კაცზედ და შეიპყრა. ორივე გატყდნენ და დაწვრილებით უამბეს ბ-ნ გუგუშვილს, როდის რა მოიპარეს. გაბატაშვილი თურმე ათი წელიწადი ქურდობით სცხოვრობდა და ბოლოს ბავშვი აიყოლია, ვითომდა რაღაც ხელობა უნდა ესწავლებინა. მხოლოდ ერთხელ დაუჭერიათ ეს მოხერხებული ქურდი, როდესაც მღვდელ ტაბლიაშვილისათვის ცხენი მოეპარა, და ამის გამო სასამართლოს ციხეში დამწყვდევა მიუსაჯნია. ამას წინად გაბატაშვილს თავის შეგირდით ორხევის სადგურთან გადმოუცურებია ფურგუნიდგან და გაუსაღებია დიდი ყუთი, რომელშიაც სამოვრები ყოფილა, გასასყიდად გაგზავნილი ტფილისიდგან კახეთს. სწორედ ამ საქმის გამო შეიპყრეს ორი ქურდი და სამართალში მისცეს. მომრიგებელმა მოსამართლემ ორთავეს ციხეში დამწყვდევა მიუსაჯა: გაბატაშვილს 8 თვით და ლეკიშვილს—3 თვით.

წერილი

რედაქციის მიმართ.

პასუხი ითხვისელს

«ივერიის» 143 ნომერში დასტამბული იყო დუშეთიდგან მოწერილი ამბავი «ითხვისელისა». სხვათა შორის იგი ეხება დუშეთის სამინისტრო სასწავლებელში სამღვთო სჯულისა და ქართული ენის სწავლებას, მასწავლებელს და საქალებო სასწავლებელს. რადგან მასწავლებელი აღნიშნულ საგნებისა პირველ სასწავლებელში და მეორე სასწავლებლის მმართველი მე ვარ, ამიტომ გთხოვთ აღსადგენად სიმართლისა მისცეთ ადგილი ამ ჩემს პასუხს.

ყოველივე ნაამბობი ჩემდა შესახებ და საქალებო სასწავლებლისა ითხვისელის მიერ არის მტკნარი სიცრუვე და ცილის წამება. უნდა ვიფიქროთ, რაიმე კერძო მოსაზრებით გამოწვეული.

«დუშეთში 5008 კომლამდე მცხოვრებიაო",—ამბობს სიცრუით ითხვისელი, მაშინ, როდესაც დუშეთში სრულიად არ არის ამდენი მცხოვრებელი. დუშეთში მართლ-მადიდებელნი სამღვდელონი, თავადნი, აზნაურნი, მოხელენი არიან ოცდა-ოთხი (24) კომლი, ვაჭარნი და სხვა ხელობისა ოთხმოცდათერთმეტი (91) კომლი, ხოლო სულნი ორისავე სქესისანი მართლ-მადიდებელი აღსარებისა არის ექვსას-სამოცდა-თერთმეტი (671) და სრულიად კომლი მართლ-მადიდებელთ მცხოვრებთა ას-თხუთმეტია (115).

სომეხთ აღსარებისანი სამღვდელონი, აზნაურნი, ვაჭარნი, მოხელენი და სხვა-დასხვა ადებ-მიცემისანი არის ას-ცხრა (109) კომლი, ხოლო სულნი ორისავე სქესისანი (550) ხუთას-ორმოცდა-ათი.

ყიზილბაშები—მეჩუსტენი არის ხუთი (5) კომლი, ურიანია ორი კომლი.

ფრანგია სამი კომლი.

სრულიად დუშეთში არის ორას-ოცდა-ცხრა (229) კომლი და არა 5008 კომლი. არამც თუ კომლი 5008 არ არის დუშეთში, არამედ სულნიც ორისავე სქესისანი არ არიან 5008 სული, არამედ არის მარტო ქრისტიანები ათას-ორას-ოცდა-ერთი (1221) სული.

სიცრუით სწერს «ითხვისელი»: თიანეთდუშეთის სამინისტრო სასწავლებელში სასურველად ვერ სწარმოებს ქართული ენის სწავლება—ასწავლის მოძღვარი... და რადგან არც ერთმა შეგირდმა არაფერი არ იცის ქართულსა და სამღვთო სჯულში, სასწავლებლის საბჭომ გადასწყვიტა უეგზამენოდ გადავიყვანოთ წელს და ამ საგნების არ ცოდნისათვის ნუ დავტოვებთ ნურც ერთ შეგირდსა; ეს ბ-ნ დირექტორის რევიზიამაც დაამტკიცა და გვარიანად შეამკო ქართველი მღვდელი" შემდეგში აცხადებს თვის სურვილს, რომ ქართული ენის სწავლება გარდაეცეს მასწავლებლებს.

ქართულს ენას და სამღვთო სჯულს თიანეთ-დუშეთის სასწავლებელში ვასწავლი მე ეს მეშვიდე წელია; ქართული ენის გაკვეთილი ყოველ განყოფილებაში კვირაში თითო მაქვს, როგორც სამღვთო სჯულისა ისე ქართული ენის. პროგრამას ყოველ წლივ ვასრულებ და არა რომელსამე წელს ჩემს საგნებში მოწაფეებს სისუსტე არ გამოუჩენიათ და არც არავისგან მიმიღია რაიმე შენიშვნა როგორც სხვა მასწავლებლებს, ისე მე, დარიგების მეტი ბ-ნ დირექტორისა და ინსპექტორისაგან.

წელს ჩემს საგნებში, ჩვეულებისამებრ, მოწაფენი გამოცდილ იქმნენ ისე, როგორც სხვა საგნებში და არა რაიმე ცვლილება და დადგენილება არა მომხდარა-რა შესახებ ქართულის ენისა და სამღვთო სჯულისა.

კიდევ დასძენს ითხვისელი: „უკეთეს

მაზეპა იჯდა... წარბებ შეკრულზე,
მოღუშულ მკაცრის სახითა მითხრა,
ვით მეგობარსა გამენდო წუთზე:
—„რა ამაოა და წარმავალი
ამ სოფლის ყოველ-გვარი დიდება!
დახე, თუ ჩვენი ყოველი ფეხის
გადადგმა ეტლს ვით ემორჩილება!..
ამაოდ გვიძგერს მკერდში მხნე გული
და სულის გვაწვევს გაბედულება:
ბოლო მოეღო ბრძოლას. იმ ერთს წუთს
ჩვენი სამშობლოს თავისუფლება,
ჩვენი სახელი, ჩვენი მშვიდობა
გაჰქრა და ველარც აღორძინდება!..
მაგრამ.. ნუ ჰფიქრობ სულით დავეცე,
მონა გავუხდე წერას ბედისას!
ეტლს ვით ვერ ვებრძვი, თუ-კი ვებრძოდი
გენიოსობას პეტრე მეფისას?!
ასე, შენ, ჩემო ვოინაროვსკი,
ვიდრე პირში ვგრძნობ ნიშანს სულისას,
ყოველს ხერხს, ღონეს ვცდი—გამოვადგე
წმინდა სურვილებს სამშობლოისას!
კმაყოფილებას ვგრძნობ სულიერად,
ორნივ მართალ ვართ—მეც და პეტრეცა.
როგორც ის, ვსცოცხლობ მითი, რომ მინდა
ჩემი სამშობლოს დიდება მეცა"!..
აქ ხმა გაკმინდა. თვალთა ბრიალით
იცქირებოდა ის ირგვლივ მკაცრად...
შიშის ტკაცუნით ცეცხლი ჰქრებოდა,
მაზეპა მიწვა. ამ დროს უეცრად
კაზაკთ მოართვეს ორი ტყვე გეტმანს...
ნიდაყვთ დაეყრდნო ის მაშინ უცბად
და, შავ-ფიქრებით აღელვებულმა,
ჰკითხა, შეხედა ტყვეებს რა მკაცრად:
—„რა ამბავია ახალი ჩვენში?"
ერთმა მიუგო: „ბატურინს გახლდით...
ხალხი ლოცავდა პეტრეს, მის ძლევას
დღესასწაულობს მართალის გულით...
შენ-კი, მაზეპავ, როგორც იუდას,
გიხსენიებენ წყევლა და კრულვით...
შენი სასახლე აგვაკლებინეს,
ყველამ აივსო იქ ხელი დავლით...
შენი განთქმული სახელი გახდა
აწ სალანძღავი, საგინებელი"...
ამ სიტყვებისა გაგონებაზე
გულს დაიკრიფა მაზეპამ ხელი,
ღიმი სიმწრისა პირზე მოადგა,
მხრებს წამოისხა მყის მოსასხმელი
და იქვე მიწვა სულ-განაბული;
რულს მისცა თავი, მარად ფხიზელი.
ჩვენ გეტმანისთვის თავგადადებულთ,
მსურველთ, რომ მისთვის გვეძია შური,
გული დაგვიჭრა იმ ტყვის ნათქვამმა,
ჩუმად ვიდექით ზარ-დაცემული...
მაზეპა ყველას გულს იზიდავდა,
ვით ერის თავი პატივცემული.
ჩვენ თაყვანს ვსცემდით მას, მამასავით,
და იქამდისინ გატაცებული,
რომ მისი ტრფობა მამულის ტრფობად
მიგვაჩნდა ყველას, გულს ჩაჭდეული...
გეტმანს პირნათლად შავბედისაგან
უნდოდა ტანჯულ სამშობლოს დახსნა,
თუ სამეფო ტახტს თვითონ ლამობდა,—
ეს-კი არ ვიცი, არ ძალ-მიძს ახსნა!
ათს წელიწადში ვერაგ გეტმანის
მე შევეგუე კარგად ხასიათს,
მაგრამ ვერ შევსძელ მისი ზრახვების
მივმხდარვიყავი მცირედს ხვაშიადს...
ვერც იმას გეტყვი, ჩემო სტუმარო,
რას უმზადებდა იგი მამულსა?
მხოლოდ რაკი მე ვიხშობდი გულში
ნათესაობას და სიყვარულსა,
მას მე პირველი მოვკლავდი, თუ-კი
უღალატებდა იგი მამულსა!

⁂

განთიადისას კვლავად გავსწიეთ
იმ ყრუ უდაბნოს უვალი გზებით.
რა ღონიერად აღელდა მკერდი,
გული დაღონდა რა გამწარებით,
როცა საზღვარი სამშობლო ქვეყნის
ჩვენ დავინახეთ ბედშავ თვალებით!
შავ-დღეს შობილმა, სამშობლოს მიწა
მუჭით ავიღე მე სასოებით,
მხურვალე ლოცვით გულის ხატთანა
მკერდზე დავკრძალე მწარე ცრემლებით...
ვამბობდი: „ეგებ ამიერ, ჩემო
სამშობლო ტკბილო, ველარც-კი გნახო!
სამშობლოს მიწავ! უცხოეთს მყოფსა
შენ მისალბუნე სვე სავაგლახო,
მომაგონებდე ჩემს ტკბილ სამშობლოს,
რომ მითი მაინც სიამე ვნახო!?.
ასრულდა, რასაც მითხრობდა გული:
განგებიანმა წერამ ბედისა
აღარ მანახვა სამშობლო ტურფა,
შვენება მისის მინდვრებ, ზეცისა!..
უდაბნოს უწყლოს, მწირსა და ცხელსა
სად მიწას მხოლოდ ძურწა ჰფარავდა,
მივაჰქენებდით ცხენებს და ირგვლივ
კორიანტელი მტვრისა გვფარავდა.—
ბოლო მოუღო ჩვენს გაქცევასაც
და, როგორც იქნა, მალე ბენდერში
შევეფარენით მასპინძლობასა
ფადი-შაჰისას ოსმალთ საზღვრებში...
იქ ავად გახდა გეტმანი. მეცხრე
დღეს სალამოთი უარესობა
დაეტყო. სულთქმა უჭირს... და სენმა
დაიმორჩილა, თუმცა სუსტობა
და ტანჯვები რომ არ დაგვანახვოს,
არ შეიმჩნიოს სცდილობს,—ეტყობა!
მივარდი, მაჯა გავუსინჯე და...
დავრწმუნდი, იგი რომ ჰკვდებოდა...
თვალ-გაშტერებით იხედებოდა,
ოფლი დაასხა, სულს უტევებდა!
წამოიწია, ვაღმოგვხედა და
„პეტრევ!" „სამშობლოვ!" წამოიძახა...
ეს იყო მისი ბოლო სიტყვები...
კვლავ ოდნავ თვალი მე დამიფახა
და განუტევა სული... გავშეშდი
უგრძნოდ, უსიტყვოდ გადვიქეც ხელად.
მიცვალებულის წინაშე ვიდეგ,
ხსოვნა, გონება დავკარგე მთელად.
მომიკვდა გული, ველარც ვიტირე:
ცრემლიც არ იყო საოხებელად!!.

თ. მაგმაძე.

მდგომარეობაში არ არის ჩვენი სქალებო სკოლა. სკოლის ადგილი ერთიანად წაართვეს მავნე სულმა დაიბუდა შიგ და ვერც ერთი მასწავლებელი ქალი ვერა სძლებს ამ სკოლაში და გარბიან“.

დუშეთის სქალებო სასწავლებელს დღეს ისეთი დიდი და ფართო ეზო აქვს, რომ კიდევ მოთავსდება ერთი დიდი სამრევლო სასწავლებლის შენობა; ამაზედ ფართო სასწავლებელი თავისი მიდამოთი, დუშეთის მაზრაში კი არა, სხვა მაზრებში და გუბერნიის ქალაქებშიაც ბევრგან არ იქმნება, მაგრამ ტყუილს მიჩვეული ვერ გაბედავს მართალი სთქვას, თუმცა მართალი უფრო ადვილი სათქმელი და დასწერია, ვიდრე ტყუილი. მასწავლებელი ქალნი კი არ გაიქცნენ, არამედ, როგორც ითხოვისულმაც იცის, მთავრობაშ დაითხოვა იმ მიზეზთა გამო, რომელიათვისაც ბევრს ითხოვენ ხოლმე ადგილიდგან.

დუშეთის ეკკლესიის ბლაღჩინი მღვდელი დიმიტრი მეტრეველი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აგვისტო.

პეტერბურგი. მდგომარეობა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა საზოგადოდ რიგიანია. მოძრაობაში უმჯობესობა ეტყობა.

—25 აგვისტოს ხელმწიფე მემკვიდრე ორიოლში წაბძანდა.

ლიბავა. სამხედრო მინისტრი დიბავიდამ წამოვიდა.—წამოვიდა გემი «შტანდარტი», რომელზედაც ზღვათა სამინისტროს მმართველია.

იალტა. ბუხარის ემირი ბუხარაში წავიდა.

პარიჟი, ელჩმა უთხრა გაზეთ «Gaulois»—წარმომადგენელს, რომ პორტა იმეცადინებს, რათა შეაჩეროს სისხლის დვრა მაკედონიაში; დიდი ღონისძიება აქვს მიღებული. მეამბოხეებს გარს შემოერტყმიან და იძულებულ ჰყოფენ დამორჩილდნენ. მხოლოდ წინამძღვრებს მისცემენ სამართალში.

სტამბოლი. არა ვითარი ნიშნები არა სჩანს, რომ სახელმწიფონი საქმეში ერეოდნენ. ანატოლელი ქედივები იცავენ ქრისტიან ქალებს და ბავშვებს ალბანელთა რედივთაგან. ოსმალნი ამბობენ ჯარს მოუმატებენ და შესდგება 350000 კაცისაგან, რათა მოკლე დროში დასთრგუნონ ამბოხებაო.

ბელგრადი. მოხდა სოციალისტთა კრება (300 კაცამდე), რომელმაც მაკედონიაში მომხდარ ამბების გამო თვისი გულის წყრომა გამოსთქვა და ურჩია მთავრობას შეადგინოს თავისუფალი მებრძოლთა რაზმები.

ათინა. მთავრობას ოფიციალურად შეატყობინეს, რომ დიდმა ვეზირმა უბრძანა გამოძიება მოახდინონ იმ ამბების გამო, რომელიც კრუშევაში მოხდა და ყველა დამნაშავენი დასაჯონ.

ბერლინი. 20.000,000 მარკა ზარალი მიუცია წყალდიდობას სილეზიაში. 81.000 ჰეკტარი იყო წალეკილი წყლისაგან.

26 აგვისტო.

პეტერბურგი. მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ მობძანდნენ 25 აგვისტოს ბელოვეჟს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბაზრობა ოფიციალურად გათავდა. აღებ-მიცემით შუათანა იყო, უფრო ფულიანი, ვიდრე შარშან. განაღდების პროცენტი კერძო ბანკებში მეტი იყო შარშანდელზე, პროცენტის ერთის მესამედითა და ერთის მეოთხედითა, ხოლო უკანასკნელ დღეებში უფრო აიწია.—25 აგვისტოს, სამაზრო კომიტეტმა რუსეთის ვაჭართა სახელით მილოცვის დეპეშა გაუგზავნა ვიტტესა და პლევესს.

ბელგრადი. ის ხმა, რომ ვითომ მეფის მოკვლა უნდოდათო საფუძველს მოკლებულია.—დივიზიის უფროსი ნიშში გენერალი იანკოვიჩი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან; მის ადგილას დაინიშნა გენერალი ჯანიჩი.

ადრიანოპოლი. ტირნოვოდან მოიყვანეს 11 აჯანყებული. მათ განსამართლებლად დანიშნულია განსაკუთრებული უაპელაციო სასამართლო.—ყირხ-ქილისში დააპატიმრეს ორი აჯანყებული, რომელნიც ვითომ ნაღმით აფეთქებას ლამობდნენ. მაჰმადიანთა სოფლის მკვიდრნი ყირხ-ქილისს ლტოლვილნი უკან ბრუნდებიან. მცირე აზიის რედიფთაგან რვა ბატალიონმა ადრიანოპოლზე გაიარა და ყირხ-ქილისის სანჯაყისკენ გაემართა.

ბათომი. ბათომი დღესასწაულობს 25 წ. თავს თვისის რუსეთთან შეერთებას.

სტამბოლი. ბულგარნი, რომელნიც შეიპყრეს ვიდრე დაიწყებოდა დღესასწაული ხონთქრის ტახტზე ასვლის წლის თავისა თავდებობით იქმნენ განტევებულნი.—კვლავ რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.—თვალყურის ჭერა ოსმალთა მხრივ მუსტაფა-ფაშა და სტამბოლ შორის რკინის გზისა იმითი განისაზღვრება, რომ უფრო მეტს სარკინისგზო შენობებს აგებენ.

სოფია. „პესტერ. ლოიდი“ იუწყება: თანდათან უფრო დასაჯერებელი და ჭკუაზე ახლოა ვიფიქროთ, რომ გემის „ბაკანია“ ბულგართა შეთქმულთა საქმეა; ეგ იმის პასუხი იყო, რომ განკარგულება გამოვიდა ადრიანოპოლის და სტამბოლ შორის ზღვით იარეთ ვარნაზე რადგან პირდაპირი მიმოსვლა რკინის გზით მოისპოვო.—ოსმალთა ჯარმა წაართვა მეამბოხეთ დიდი სოფელი კლისური კასტორიის ოლქში და აიკლო 11 სოფელი ბულგართა. ოსმალეთის მხედართ მთავარს თან ახლდა ბერძენთა ეპისკოპოზი კასტორიისა. ჰგონებენ, რომ ოსმალთა ჯართან ერთად იბრძვიან რაზმნი ბერძენთა ნებაყოფლობით გამოსულ მეომართა. ფლიურინის ხეობაზე ყოველსავეს ცეცხლი აქვს მოდებული.

პეტერბურგის ბირჟა აგვისტოს 22

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი.	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	99$^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99$^1/_4$$^1/_2$ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864	443$^1/_2$ წ.
% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335$^1/_2$ წვ. გაყიდ
5% გირავნ. მომგ ფურც. სასახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288$^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94$^1/_2$
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92$^1/_2$ გაყ.
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 წვ.-გაყ.
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9226
აქციები. „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა.	35.00 წვ. გაყ.
„ ბაქოა ნავთის საზოგად.	379 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	184 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) სავოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) სავოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) სავოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № დამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) სავოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) სავოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი კადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზს № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1$^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალოიღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

სამკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60	კ.
ერთგზობით	30	„
ქალაქიდგან ავლაბარში	40	„
ნავთლუღში	50	„
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30	„
ნათლუღიდგან ქალაქს	40	„
ალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50	„
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80	„
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40	
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1	მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80	კ.
კრწანისის ბაღამდე	80	„
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80	„
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60	„
იქიდამ ნათლუღამდე	1—20	

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან, 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11	კ.
2 „	8	კ.
3 „	6	კ.
სუკი	15	კ.
ცხვრის ხორცი	10	კ.
კამეჩისა	7	კ.
ღორისა		
1 ხარისხის (საკატლეტე)	11	კ.
2 „ (ბარძაყი)	10	კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8	კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5	კ.
2 „	3$^1/_2$	
3 „	3	კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15	მან.
2 „	10	„
3 „	5	„

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსად ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80	კ.
2 „	4 „ 80	„

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ ვ მკურნა ლობენ ღებულობს.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11, an das Aunoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—4)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში

ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

იყიდება ყოველგვარი შეკერილი

ევროპიული ტანისამოსები

მაგალითად: პალტოები 10 მანეთიდან 35-მდე, მთელი კოსტიუმები 10 მანეთიდან 35-მდე., საწვიმარი მოსახურავები 70 მანეთიდან 30-მდე. შარვლები, კრახმალიანი პერანგები, ზაპინკები, ტროსტები და ყოველგვარი თეთრეული.

საგანგებოთ გამოვიწერე გამოცდილი გამომჭრელი ევროპიულ ტანისამოსისა და შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპიულის და სამხედრო ტანისამოსებისა, ვყიდი არშინობით სამზღვარ-გარეთულ და რუსულ მატერიებს.

ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა.

(5—6—2)

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნანდვილი

"ოლობრინი" მ. გ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—16)

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ «მოგზაურის» რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფ. 5 კ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფ. 5 კ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. „მურია“, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. სულით ავადმყოფნი მოსწავლენი ფ. 5 კ.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილი მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. საუნჯე ავადმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25, მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციუცუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. ლინჰარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. შიო-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. ცხენის წურბელა, მოთხრობ ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31, მაჭმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
32. როგორ ცხოვრებენ ჩინელები, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ 10 კაპ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კ.
39. სარკე ბურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფასი 10 კ.
41. ალბომი «ქართველთა ტომი», ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
72. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯითაც სამ-სამი კაპეიკი წამატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

ადრესი: Тифлисъ, Редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили.

ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.

(10—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. ხარაზიშვილი.